



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/176

მ. თბილისი

26 ნოემბერი 2024წ

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით  
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 26 ნოემბრის №01-05-02/32 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება“ და მისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2025-2026 სასწავლო წელს.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ი. კუტუბიძე

„მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო  
პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)

1. მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები
2. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია
3. სამთო მიწათმოქმედება
4. შესავალი ბიოეკონომიკაში
5. მთის სოფლის მდგრადი განვითარების საფუძვლები
6. მთის მდგრადი ორგანული-ფერმერული სისტემების საფუძვლები
7. რესურსმცოდნეობის საფუძვლები
8. მთის აგროეკოლოგიის საფუძვლები
9. სტატისტიკის საფუძვლები
10. მთის კლიმატი და აგრომეტეოროლოგიის საფუძვლები
11. მთის რეგიონის რაციონალური ბუნებათსარგებლობა
12. მთაში საინჟინრო სისტემების მართვა
13. თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების საფუძვლები მთიანი რეგიონების განვითარებაში
14. მთიანი რეგიონის ლანდშაფტური დაგეგმარება
15. სამთო სატყეო სამეურნეო საქმიანობა
16. გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემები მდგრადი განვითარებისათვის
17. ბუნებრივი კატასტროფები და რისკები
18. საქართველოს მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრიაციული პოტენციალი
19. ნარჩენების მართვის საფუძვლები
20. მთიანი რეგიონების დემოგრაფია
21. გარემოზე ზემოქმედების შეფასება
22. მთიანი გარემოს ეკოლოგია
23. ორგანული სასურსათო პროდუქტების წარმოების სტანდარტები და უვნებლობა
24. მთის ორგანული-ფერმერული ტურიზმი
25. წყლის გამოყენების ოპტიმალური რეჟიმები მთის მდგრად ორგანულ ფერმერულ სისტემებში
26. მთიანი გარემოს უსაფრთხოება
27. მთის ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენება
28. სავლე პრაქტიკა „მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება“
29. ორგანული რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოება
30. ეკო-სასოფლო ტურიზმი
31. მთიანი ზონის სამკურნალო მცენარეები
32. მთის ზონის ორგანული სოფლის მეურნეობა